სოციალური ინოვაციები მომავლისთვის

საგანმანათლებლო პროგრამა

ფოთის საჯარო სკოლების

მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის

პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამა "სოციალური ინოვაციები მომავლისთვის" მიზნად ისახავს ქალაქ ფოთის საჯარო სკოლების მე-8 - მე-11 კლასის მოსწავლეების ინტერესის გაღვივებას სოციალური ინოვაციების მიმართ, მათი აქტიური ჩართულობის წახალისებას ადგილობრივი სოციალური პრობლემების მოგვარების გზების ძიებაში. პროგრამა გულისხმობს მცირე სასკოლო გუნდების ჩამოყალიბებას, დიზაინის აზროვნების და სოციალური ინოვაციების შესახებ ვებინარებსა და პირისპირ ვორქშოფებში ჩართულობას, იდეების კონკურსში მონაწილეობას და გამარჯვებული იდეის განხორციელების ხელშეწყობას.

პროგრამას ახორციელებს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC) ფოთის მერიასთან თანამშრომლობით, bp-ისა და ეიპიემ ტერმინალს ფოთის (სს,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამას მხარს უჭერს CTC-ის სოციალური ინოვაციების პლატფორმა (SIP www.socialinnovations.ge), რომელსაც ფინანსურად აძლიერებს შვეიცარული ორგანიზაცია HEKS/EPER სამხრეთ კავკასია.

პროგრამის მისია და ამოცანები

პროგრამის მიზანია ფოთის საჯარო სკოლების მოსწავლეების და მასწავლებლების სწავლებისა და სწავლის შესაძლებლობების გაძლიერება მათი სოციალურ ინოვაციებზე ფოკუსირებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვით და თანამედროვე, სკოლებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი აღჭურვილობის მიწოდებით. პროგრამა მოიცავს სასწავლო და საკონკურსო კომპონენტებს, და გულისხმობს მოსწავლეებისთვის პრაქტიკული უნარების და ცოდნის მისაღებად საჭირო სასწავლო სივრცის შექმნას. ამ მიდგომით პროგრამა ცდილობს მონაწილეებს შორის სოციალური პასუხისმგებლობის წახალისებას. პროგრამის ფინალურ ეტაპზე განხორციელდება კონკურსის მონაწილე ერთი გამარჯვებული იდეა. პროგრამის ამოცანებია:

- მოსწავლეებში საკვანძო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა, კონკრეტულად, ადგილობრივად არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების დასახვა-ადვოკატირება, დიზაინის აზროვნება, მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერება, გუნდური მუშაობა, კრიტიკული და კრეატიული აზროვნება.

- მოსწავლეებში ინოვაციურ იდეებზე მუშაობის წახალისება სოციალური პრობლემების მოგვარების მიზნით. მოსწავლეების მიერ შერჩეული პრობლემა უნდა ასახავდეს სასკოლო საზოგადოების ან ქალაქ ფოთის მაცხოვრებლებისთვის აქტუალურ გამოწვევას და მისი მოგვარების იდეა უნდა იყო მდგრადი, განგრძობითი სახის და არა - ერთჯერადი ხასიათის ქმედება/აქტივობა ან საქველმოქმედო დახმარება.
- ფოთის საჯარო სკოლებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის წახალისება და საგანმანათლებლო ეკოსისტემის გაძლიერება.
- არაფორმალური საგანმანათლებლო მიდგომების და მეთოდების დანერგვა.

პროგრამა ითვალისწინებს სკოლების ტექნიკური ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის გაუმჯობესებას. სასწავლო პროგრამაში მონაწილე ყველა სკოლა მიიღებს პროექტორსა და პროექტორის ეკრანებს, ხოლო გამარჯვებული გუნდების სკოლები, დამატებით, ციფრულ ეკრანებს.

პროგრამაში მონაწილეობა

პროგრამა ღიაა ქალაქ ფოთის საჯარო სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ სკოლის ბაზაზე შექმნილ გუნდებს:

- გუნდში უნდა ერთიანდებოდეს 4-6 მოსწავლე და ერთი მასწავლებელი
- მოსწავლეები უნდა სწავლობდნენ მე-8 - მე-11 კლასებში
- ერთი მასწავლებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი გუნდის წევრი
- ერთი სკოლიდან შეიძლება მხოლოდ ორი გუნდის მონაწილეობა

პროგრამაში მონაწილეობისთვის გუნდმა ერთად უნდა შეავსოს სარეგისტრაციო ფორმა.

პროგრამაში მონაწილე გუნდები ეცნობიან სოციალური ინოვაციების არსს და დიზაინის აზროვნების მიდგომებს. გუნდის წევრები ერთად მუშაობენ მათ ქალაქში ან სკოლაში არსებული სოციალური პრობლემის განსაზღვრაზე და ამ პრობლემის მოგვარების ინოვაციური და მდგრადი გზების დასახვაზე. გუნდის მიერ შერჩეული პრობლემა უნდა ემთხვეოდეს გაეროს მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მიზანს და უნდა იყოს როგორც გუნდისთვის, ისე სკოლისთვის ან ქალაქისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა. პროგრამის დასკვნით ეტაპზე, გუნდების მიერ შემუშავებულ ინოვაციურ იდეებს განიხილავს სპეციალური ჟიური და შეარჩევს სამ საპრიზო იდეას. საპრიზო იდეების ავტორი გუნდების სკოლებს გადაეცემათ დამატებით სასწავლო ტექნიკა საჩუქრად და მათგან ერთი გამარჯვებული გუნდი მოიპოვებს მხარდაჭერას იდეის განსახორციელებლად. სოციალური ინოვაციის იდეის დაფინანსება შეადგენს 20,000 ლარს. პროგრამაში მონაწილე ყველა მოსწავლე და მასწავლებელი მიიღებს პროგრამის დასრულების სერტიფიკატს. პროგრამაში მონაწილე მასწავლებლებს ექნებათ შესაძლებლობა, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე დიზაინის აზროვნების წამახალისებელი მიდგომები/აქტივობები დანერგონ თავიანთ სკოლებში.

გუნდის წევრი მასწავლებლის როლი გულისხმობს ჯგუფის სამუშაო პროცესის კოორდინაციას და ფასილიტაციას. გუნდში შინაარსობრივ ნაწილსა და იდეების შემუშავებაზე მუშაობენ მოსწავლეები, მასწავლებელს აქვს მხარდამჭერი როლი. მასწავლებელმა შეიძლება იზრუნოს სკოლის ფარგლებში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ან კლასის მოსწავლეების ერთმანეთთან დაკავშირებაზე იმისთვის, რომ გუნდი დაკომპლექტდეს შერეული პრინციპით და შეივსოს სხვადასხვა ინტერესისა და კომპეტენციის მატარებელი მოსწავლეებით.

პროგრამის სტრუქტურა და აქტივობები

პროგრამა განხორციელდება ჰიბრიდულად და მოიცავს როგორც დისტანციურ, ონლაინ საქმიანობას, ისე პირისპირ ვორქშოფს და შეხვედრებს. პროგრამა ხორციელდება ოთხ ეტაპად ცხრა თვის განმავლობაში.

1-ლი ეტაპი: გუნდების რეგისტრაცია

8 აპრილი - 10 მაისი, 2024

პროგრამის პირველ ეტაპზე დაინტერესებული მოსწავლეები და მასწავლებლები აყალიბებენ გუნდს, განსაზღვრავენ პრობლემებს, რომლებზეც სურთ მუშაობა და ავსებენ სარეგისტრაციო ფორმას. იმ შემთხვევაში, თუ გუნდს რეგისტრაციის ეტაპზე არ აქვს შერჩეული კონკრეტული პრობლემა, გუნდის წევრები შეძლებენ სარეგისტრაციო ფორმაში მიუთითონ მათთვის საინტერესო სამუშაო მიმართულებები და კონკრეტულ საკითხებზე პროგრამის დაწყების შემდეგ შეთანხმდნენ.

მე-2 ეტაპი: დიზაინის აზროვნების ფაზა

მაისი-ივნისი, 2024

ამ ეტაპზე რეგისტრირებული გუნდები მონაწილეობენ დისტანციურ და პირისპირ შეხვედრებში, ეცნობიან დიზაინის აზროვნების მეთოდოლოგიას და პროცესს, იძენენ საჭირო კომპეტენციებს პრობლემების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, მუშაობენ სოციალური პრობლემების მოგვარების იდეების გენერირებაზე.

დიზაინის აზროვნების ფაზა მოიცავს სამ ონლაინ ვებინარს და ორ პირისპირ ვორქშოფს. ვებინარების შემდეგ მონაწილეები მიიღებენ დავალებებს, რომლის შესასრულებლად ექნებათ ერთი კვირა. გუნდმა კვირის ბოლოს შესრულებული დავალებები უნდა გამოგზავნოს იმისათვის, რომ შეძლოს ახალი დავალების მიღება და საბოლოოდ, მოიპოვოს იდეების კონკურსში მონაწილეობის უფლება.

ჯამში, გუნდებს შესასრულებელი ექნებათ 3 დავალება, რომელთა შესრულებაც დაეხმარებათ, ეტაპობრივად დაამუშაონ მათი სოციალური ინოვაცია/იდეა. გუნდი, რომელიც სამიდან ორ დავალებას გამოტოვებს, დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

მეორე ეტაპის ფარგლებში დაგეგმილია ერთი ვორქშოფი და ერთი ვებინარი მაისში, ხოლო ერთი ვორქშოფი და ორი ვებინარი - ივნისში.

მეორე ეტაპის ბოლოს, თითოეული გუნდი დამუშავებული სახით წარადგენს საკუთარ იდეას, რომ მიიღოს კონკურსში მონაწილეობის უფლება. ვებინარებსა და ვორქშოფებში მონაწილეობა და დავალებების გამოგზავნა სავალდებულოა იმისთვის, რომ გუნდი მე-3 ეტაპზე გადავიდეს.

მე-3 ეტაპი: პროტოტიპების სახელოსნო

ივლისი, 2024

მესამე ეტაპზე გადასული გუნდები მონაწილეობენ ერთ ვორქშოფში და მუშაობენ პროტოტიპის იდეაზე. ვორქშოფის შემდეგ, გუნდებს აქვთ 10 დღე, რომ დახვეწონ თავიანთი იდეა და შექმნან პროტოტიპი.

მაისი
1 ვებინარი
1 ვორქშოფი

ივნისი
2 ვებინარი
1 ვორქშოფი

მაისი-ივნისი
3 დავალება

ივლისი
1 ვორქშოფი

მე-4 ეტაპი: კონკურსი და გამარჯვებული იდეის განხორციელება

სექტემბერი-დეკემბერი, 2024

სექტემბერში გაიმართება გამოფენა, სადაც გუნდები წარადგენენ თავიანთ საკონკურსო პროტოტიპს. გამოფენის პარალელურად, ჟიური ადგილზე გადაწყვეტს და გამოავლენს სამ საპრიზო გუნდს, რომლებსაც გადაეცემათ დამატებითი აღჭურვილობა სკოლებისთვის. სამეულში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული იდეა, რომელიც განხორციელდება ფოთის მერიასთან თანამშრომლობით. გამარჯვებული იდეა შეირჩევა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ინოვაციურობა - რამდენად ითვალისწინებს იდეა ინოვაციურ და ახლებურ მიდგომებს.
- რელევანტურობა - რამდენად აქტუალური და საჭიროებებზე დაფუძნებულია პრობლემა, რომელიც გუნდმა შეარჩია.
- ეფექტურობა - როგორ პასუხობს გუნდის მიერ შემუშავებული გადაჭრის გზა, იდეა, დასმულ პრობლემას.
- რეალისტურობა - რამდენად რეალისტური და განხორციელებადია იდეა.
- მდგრადობა - რამდენად განგრძობითია იდეა, როგორ შეიძლება იდეის ფარგლებში დასახული შედეგების შენარჩუნება და განვითარება.

დამატებითი ინფორმაცია და კონტაქტი

პროგრამის ფარგლებში ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრები ფოთის დაინტერესებულ საჯარო სკოლებთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან. გუნდების რეგისტრაციის პერიოდში დაგეგმილია ორი დისტანციური ღია კარის დღე. ღია კარის თარიღებია:

- 12 აპრილი, 16:00 საათი.
- 19 აპრილი, 16:00 საათი.

ღია კარის შეხვედრები ჩატარდება დისტანციურად, პლატფორმა Zoom-ის მეშვეობით:

- შეხვედრის ბმული: https://us02web.zoom.us/j/87920488921
- შეხვედრის ID: 879 2048 8921

პროგრამის შესახებ კითხვების ან კომენტარების შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროგრამის საკონტაქტო პირს, ანა ვირსალაძეს, ელ.ფოსტაზე ana.virsaladze@ctc.org.ge ან ნომერზე 591 16 44 42.